



აქადემიური ცენტრის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი

სადოქტორო პროგრამა  
საქართველოს ისტორიაში

**HISTORY OF GEORGIA**

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:

გიორგი მჭედლიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

გურამ გაბუნია – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

ქუთაისი

2008

I. პროგრამის სახელწოდება: საქართველოს ისტორია

II. მეცნიერების დარგი: ისტორია

III. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ისტორიის დოქტორი

IV. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტები და სტრუქტურული ერთეულები:

სადოქტორო პროგრამას შეასრულებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი.

V. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

V. I პროგრამის მიზანი:

საქართველოს კანონით «უმაღლესი განათლების შესახებ», დოქტორანტურა არის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პროფესიული მომზადების ბოლო საფეხური.

სადოქტორო პროგრამა «საქართველოს ისტორია» წარმოადგენს სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადებას საქართველოს ისტორიის მიმართულებით.

იგი მიზნად ისახავს ამ დარგში ღრმა თეორიული ცოდნის მქონე მკვლევარ-პედაგოგთა მომზადებას, რომელთაც შეეძლება მეცნიერულ კვლევა-ძიებაში შემოქმედებითად გამოიყენონ დაგროვილი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ და განაზოგადონ საკვლევო წყაროთმცოდნეობითი მასალა, თანამედროვე საისტორიო მეცნიერების დონეზე შემოქმედებითად განავითარონ იგი; შესწავლეთ უნარი დაწერონ მიღებული შედეგები სამეცნიერო პუბლიკაციებსა, უმაღლეს სკოლაში წაკითხულ ლექციებსა და სემინარებში, კვლევით დაწესებულებებში შესასრულებელ სამუშაოებში.

სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს უწყვეტი თეორიული და პრაქტიკული მომზადების ციკლის დამამთავრებელ ეტაპს. ეს ეტაპი, ზემოთქმულის გარდა, მიზნად ისახავს, მოამზადოს საქართველოს ისტორიის სპეციალისტი, რომელიც ისტორიოგრაფიულ მუშაობასთან ერთად დაუფლებული იქნება ისტორიულ-შედარებით მეთოდოლოგიას, მეცნიერული ანალიზის პრინციპებს, ერთ უცხო ენას მაინც და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენების უნარ-ჩვევებს.

V. II. მოსალოდნელი შედეგები:

სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად მკვლევარი დაუფლებული იქნება თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მაღალ დონეს და კვლევის მეთოდოლოგიას. შეეძლება შექმნილი ცოდნა და კვლევის მეთოდები გააცნოს სტუდენტთა აუდიტორიას და ფართო საზოგადოებას, ზეპირად და წერილობით.

სადოქტორო კურსის გავლის შემდეგ დოქტორანტი შეიძენს საქართველოს ისტორიისა და ისტორიოგრაფიის სფეროში სპეციალისტის სტატუსს. მას ექნება ამ დარგებში დამოუკიდებელი კვლევის ცოდნა, საქართველოს ისტორიის თანამედროვე პრობლემატიკის დასმის უნარი, მოახდენს ადეკვატურ ორიენტაციას ამ პრობლემატიკაში, ორიგინალურად განავითარებს და ობიექტურად გადმოსცემს თავის მოსაზრებებს, რაც საბოლოო ჯამში ნიშნავს, რომ მან მიიღო სათანადო ცოდნა სპეციალობაში; შეიძინა კომპეტენცია საისტორიო კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდოლოგიაში, რაც მას მაღალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკვალიფიკაციო ნაშრომების შექმნასა და დაცვაში დაეხმარება.

დოქტორანტურა მთავრდება სადოქტორო დისერტაციის დაცვით, რომლის შედეგადაც დისერტანტს ეძლევა ისტორიის დოქტორის (PhD) დიპლომი. დაცული ნაშრომი საბჭოს სხდომიდან არაუგვიანეს ექ-

ესი თვის გამოქვეყნდება წიგნის სახით ან განთავსდება ვებგვერდზე ელექტრონული ვერსიის სახით. სადისერტაციო ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებსა და სტუდენტებს. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სალექციო კურსებისა და შესატყვისი მიმართულებით კვლევის გაღრმავებისათვის.

## **VI. დასაქმების სფეროები:**

დოქტორანტურის კურსდამთავრებულის მუშაობის უპირველესი და უმთავრესი სფეროა უმაღლესი სკოლა. იქ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში საქართველოს ისტორიის, ისტორიოგრაფიის, სპეციალური კურსების, ისტორიული გეოგრაფიის, ისტორიის სხვა დამხმარე დისციპლინებისა და სხვ. სალექციო კურსების წაყვანა; აკადემიური სფეროს და სხვა სახის საკვლევ დაწესებულებებში სპეციალისტად მუშაობა. სამუზეუმო და საარქივო საქმიანობაში მონაწილეობა, ცალკეული სახელმწიფო დაწესებულებებისა, თუ კერძო ფირმა-კომპანიებისათვის, სხვადასხვა დასახლებული პუნქტების (ქალაქები, დაბები, სოფლები) ისტორიის შექმნაში დახმარების აღმოჩენა და სხვ.

## **VII. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის აღწერა:**

სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი) დოქტორანტის სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური დახელოვნების მიზნით მოიცავს შემდეგ მოდულებს:

### **VII.I. დარგობრივი კურსები (40 კრედიტი).**

**VII.II.** დარგობრივი კურსებისგან შემდგარი მოდული, რომელიც ითვალისწინებს სადისერტაციო თემიდან გამომდინარე სპეციალური და მომიჯნავე საგნების გაღრმავებულ შესწავლას და მთავრდება გამოცდით.

**VII.III.** მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დოქტორანტის მიერ უცხო ენის ცოდნის გაღრმავებას (10 კრედიტი).

**VII.IV.** დარგის სწავლების მეთოდიკა და პედაგოგიური პრაქტიკა (10 კრედიტი). სწავლების თანამედროვე მეთოდების მოდული, რასაც მოსდევს დოქტორანტის ჩართვა სასწავლო პროცესში (პროფესორის ხელმძღვანელობით ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება), მის მიერ ისტორიის სწავლების მეთოდიკის დაუფლებას. მოდულის დასრულების შემდეგ დოქტორანტი ფასდება იმ სრული პროფესორის მიერ, რომლის წარმოდგენილ მოდულს ხელმძღვანელობას უწევს.

აღნიშნული მოდელი გათვლილია სამწლიანი პროგრამისთვის. აქედან პირველი წელი მოიცავს დარგობრივ მოდულს, უცხო ენის ცოდნის გაღრმავებას და სწავლების თანამედროვე მოდულს – პედაგოგიურ პრაქტიკას, ხოლო მეორე და მესამე წელი დაეთმობა კვლევითი კომპონენტის დასრულებას.

სწავლის პერიოდში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს სულ 180 კრედიტი (1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

## **VIII. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს განსაზღვრავს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომლის ამონარიდი ასეთია:

**VIII.I.** დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს მაგისტრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

**VIII.II.** დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს სხვა ქვეყნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს (საქართველოს «უმაღლესი განათლების შესახებ» კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

**VIII.III.** დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული, ან ფრანგული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე.

**VIII.IV.** დოქტორანტურის კანდიდატი, რომელსაც საქართველოს ისტორიის პროგრამით სურს სწავლა, მაგრამ ქართული მისი დედაენა არ არის, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს.

**VIII.V.** დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება, ჰქონდეს ქართველოლოგიურ ჟურნალებსა თუ კრებულებში ორი სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც საქართველოს ისტორიის იმ პერიოდიდან, რომელზეც მას მეცნიერული კვალიფიკაციის დაუფლება სურს, ანდა ამავე თემატიკიდან წარმოადგინოს ვრცელი რეფერატი (პუბლიკაციები და რეფერატი რეკომენდებული უნდა იყოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მიერ).

**VIII.VI.** შემომსვლელმა უნდა გაიაროს საგამოცდო შეფასება საქართველოს ისტორიასა და უცხო ენაში.

**VIII.VII.** შემომსვლელმა უნდა წარმოადგინოს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი (დედანი).

**VIII.VIII.** დოქტორანტურაში მიიღებიან ორმოც წლამდე ასაკის მოქალაქეები.

#### **IX. პროგრამაზე მისაღებ დოქტორანტთა რაოდენობა:**

**IX.I.** საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია 5 დოქტორანტის მიღება.

**IX.II.** საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ამჟამინდელი სამეცნიერო პოტენციის მიხედვით უახლოეს ხანში შეგვეძლება დოქტორანტების მომზადება: 1. საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის, 2. განვითარებული ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის, 3. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის (XIX-XX სს.), 4. საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და 5. ქართულ ისტორიოგრაფიაში.

#### **X. პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა :**

**X.I.** სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტისა და ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზაზე, შესაბამის კაბინეტებსა და ბიბლიოთეკებში, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობით, დოქტორანტისთვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურით.

**X.II.** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის №1114 აუდიტორიის ტექნიკური აღჭურვილობა დისტანციური მართვის სალექციო და სემინარული ტიპის მუშაობის ჩატარების საშუალებას იძლევა. აღნიშნული დისტანციური მართვის აუდიტორიის გამოყენებას ვგეგმავთ, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის და საქართველოს ეროვნული მუზეუმის პროფესურასთან, ასევე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსულტანტებთან გარკვეული მუშაობის სახით სასწავლო პროცესში.

**X.III.** საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტი ისარგებლებს საზღვარგარეთ მივლინებით, ასეთი კადრების მომზადების გამოცდილების მქონე უნივერსიტეტებსა და სასწავლო ცენტრებში კონსულტაციების მისაღებად, ან სადისერტაციო თემის რომელიმე კომპონენტის შესასრულებლად.

**XI. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:**

**XI.I.** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი მჭედლიძე;

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ გაბუნია.

**XI.II.** სპეციალობების მიხედვით თანახელმძღვანელებად (როგორც ამას სათანადო დებულება გულისხმობს) ფაკულტეტის საბჭოს ნებართვით შეირჩა საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის გამოცდილი ასოცირებული პროფესორები: გოდერძი ვაჭრიძე და სულხან კუპრაშვილი.

**XI.III.** კონსულტაციებისათვის, თუ ეს საჭირო გახდა, მოვიწვევთ შესაბამისი დარგის მაღალი აკადემიური დონის სპეციალისტებს.

**სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:**

| № | საგნის დასახელება  | საგნის სტატუსი | კრედიტების საერთო რაოდენობა | კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით |    |     |    |   |    |
|---|--|----------------|-----------------------------|--|----|-----|----|---|----|
|   |  |                |                             | I  | II | III | IV | V | VI |
|   | <u>საუნივერსიტეტო კურსები</u>  |                |                             | I  | II | III | IV | V | VI |
| 1 | ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია   | სავალდებულო    | 5                           | 5  |    |     |    |   |    |
| 2 | პედაგოგიური პრაქტიკა   | სავალდებულო    | 5                           |  | 5  |     |    |   |    |
| 3 | საბაზო (საფაკულტეტო) კურსები<br>-----<br>საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები | სავალდებულო    | 15                          | 5  | 10 |     |    |   |    |
| 4 | საქართველოს ეკლესიის ისტორია   | სავალდებულო    | 10                          | 5  |    |     |    |   |    |
| 5 | ქართული ისტორიოგრაფია  | სავალდებულო    | 10                          | 5  | 5  |     |    |   |    |
| 6 | სპეციალური კურსები<br>-----<br>ქრონოლოგია  | არჩევითი       | 5                           | 5  |    |     |    |   |    |
| 7 | ისტორიული გეოგრაფია  | არჩევითი       | 5                           | 5  |    |     |    |   |    |

|    |   |             |     |    |    |    |    |    |    |
|----|---|-------------|-----|----|----|----|----|----|----|
| 8  | წყაროთმცოდნეობა   | არჩევითი    | 5   | 5  |    |    |    |    |    |
| 9  | უცხო ენა  | არჩევითი    | 5   | 5  |    |    |    |    |    |
| 10 | სამეცნიერო სემინარები და კოლოქვიუმები                       | სავალდებულო |     | 5  | 10 |    |    |    |    |
| 11 | სადოქტორო დისერტაცია, სამეცნიერო სემინარები და კოლოქვიუმები | სავალდებულო | 120 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |

**შენიშვნა:** დოქტორანტი სწავლების პირველი წლის I სემესტრში სამი არჩევითი სპეციალური კურსიდან აირჩევს ერთს.

### სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

### სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდისა

- ა) კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ზემოთმოყვანილი სისტემით;
- ბ) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით: 1-"სრულიად არადამაკმაყოფილებელი", 2-"არადამაკმაყოფილებელი", 3 -"დამაკმაყოფილებელი" , 4 - " საშუალო", 5 - "კარგი" , 6 - "ძალიან კარგი" , 7 - "ფრიადი" ;
- გ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული  $E_0$  ;
- დ)  $E$  განისაზღვრება, როგორც  $E_0$ -თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ  $E_0$  არის  $n,5$  სახის, მაშინ  $E$  განისაზღვრება  $n+1$  -ის ტოლად);
- ე) საბოლოო შეფასება არის  $E$  რიცხვის შესაბამისი შეფასება ბ) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ  $2/3$  -ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" - ით ან "არადამაკმაყოფილებელი" - ით);
- ვ) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა  $1/3$  - ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და  $E \geq 2$  ;
- ზ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა  $1/3$  მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და  $E = 1$ .